

1916 / 4

# ო მ ა მ ტ რ ი ჭ ც ხ ლ ვ ლ მ ბ ა

ს თ ე გ უ რ ი ს დ ლ ი ლ უ რ ე ბ უ რ ი ს მ უ რ ნ ა ლ ა

32 — 1916 | 2 6 0  
80 ლ ა, 7 მარტი. | 12 კაპ.

ზელ. მ ე რ თ ხ ე  
გ ა მ ა ლ ე მ ი ს ა

შ უ რ ნ ა ლ ი წ ლ . 5 გ .,  
ნ ა ხ . წ ლ . 3 გ . ჩ ი ს ა -  
მ ა რ თ ი : თ ბ ი ლ ი ს ი ,  
„ თ ე ა ტ რ ი დ ა ც ხ ა ფ -  
რ ე ბ ა ” ი ლ ს ე ბ ი მ ფ -  
დ ა შ ე ი ლ ი ს .



ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ი კ . ნ ა თ ა ძ ე ბ ა ვ შ ე ბ ი თ  
(ი ხ . ა მ ა ვ ე ნ ო მ ე რ შ ი 6-7 გ გ .)

## მარიამიანის 7

საზოგადო საზოგადო მოღვაწეობას იქნება მოღვაწეობა. სხვაგან ეყოდენი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, რაოდენიც ჩვენში და იქნება კეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, ზენაარი ნიკით დაჯილდოვებული, ქვეყნისა და ხალხის თვის თავგამოდებული, სიკეთის ბრძანებული გატაცებული, ნამდვილი მოსაქმე-შემომქმედი ისე მცირე სხვაგან არ იყოს, როგორც ჩვენში..

ისიც მართალია, რომ საზოგადო მოღვაწეობის გზა ნარ ეკლეგბით ისე არსადა მოფენილი, როგორც ჩვენში. მაგრამ მიუხედავად ამისა, კაცი ვერც ჩვენს ხალხს დაემდურება: ნამდვილ საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა თუ ძალით დაფასება, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც იცის...

საზოგადო მოღვაწე უკვე საზოგადოების წევრია, ერთეულიდან საერთოში გადასული: იგი თავისს მე-ს თითქო პარაგავს და საესებით ერის, საზოგადოების, ხალხის სისხლი ს. სხლთაგანი, ძვალი ძალთაგანი პელება. საზოგადო მოღვაწეს, თუ იგი მართლა ასეთია, თითქმის პირადი მიღრეკილებანი ეშობა და საზოგადოებრიობის სურვილ-ჩწმენის წინააღმდეგ ბიჯსაც ვერ გადასდგავს, თუ სურს არ წაიბორძიკოს...

თუ სული შენი საზოგადოებას უძღვენი, მაშინ ისევე უნდა დაიხოვო სიცოცხლე, ჯანი თუ ძალა, როგორც საზოგადოებას მოუხდება...

საზოგადოება გიძლვნის სიყვარულს, პატივისცემას, ნივთიერ დახმარებას, — ერთის სიტყვით საზოგადოების ზრუნვის საგანი შენა ხარ და შენ — საზოგადო კუთვნილებას, — თუ კეშმარიტად ასეთი ხარ — რალა ნება გაქვს განვებისაგან ბოძებული ნიჭი. იმავე საზოგადოებისგან შეძენილი ცოდნა და საქმიანობის უნარი, ერის სიყვარული და ის სარგებლიანობა, რომელსაც საზოგადოება შენგან მოელის, მოუფიქრებელი საქციელით ანუ განიაღავებული დაუდევრობით ფეხევეშ გასთველო?

კეშმ-რიტი მოღვაწე არ შელახავს, საზოგადოებრიობას და არც უნდა შელახოს...

როგორც ძეელი ღროის წმ. მამანი — განდევგილნი სკეტზე ანუ უდაბნოში დაყუდებული, ზეცად ხელაღბყრობილნი, ერთის უზენაესის ფიქრით მოცულნი მხოლოდ ზენაარს უფროებოდნენ, ისევე თანამედროვე კეშმარიტი მაღვაწე მთელი თავისი ფიქრით, ზრახვით, გრძნობით, ყოველი ნაბიჯით მხოლოდ თავისი რჩეული საგნის ზვარევი უნდა იყოს: უქმდ, უმიზნოდ არ გაფლანგოს არც თავისი სულიერ ხორციელი ძალა, არც საზოგადოებრივი ნდობა, პატივი, ზნეობრივი ნივთიერი ჯილდო..

ვინც წმინდის გულით, მაღალის გრძნობით არ აღიჭურვება — რა ნება აქვს საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებდეს, — საზოგადოების აზროვნობას მესვეურობდეს?!

ყალბი გინახავთ თუ არა გაკოტრებულ მოღვაწეობა. ლი ანუ სხვათა თვალის მმხვევა ვაჭარი თახს-თარაჯებზე ცალიერი კულოფები რომ ჩამოუმწერივებია: შორიდან მაყურებელს სჭრის თვალს, ახლო პატრონს — სელი რო ჩაჰყოს, ვერაფერს ამოღებს...

სწორედ ასეთ ყალბ ანუ გაკოტრებულ მოღვაწეებს მოვაგონებენ ზოგიერთი ჩვენებური მოღვაწენი, რომელნიც საზოგადო საქმეს სათავეში მოჰკვეთიან, ისენიებიან, როგორც თავმჯდომარენი ანუ გამგეობის წევრი ამა თუ იმ დაწესებულებისა და აქმეს. კი არაფერს, სრულიად არაფერს აკეთებენ..

იქნება სწორედ ეს იყოს მიზეზი, რომ დაბა-სოფლის ზოგიერთ საზოგადო საქმეთა გარშემოაურზაურია: მოწინოვე პირნი ორ ბანაკად გეყოფილიან, ერთი უკვე გაბატონებულნი, მაგრამ არაფრის მკეთებელნი, მეორენი არა გაბატონებულნი, მაგრამ საქმის გაკეთების მსურველნი... უხლა-უმოხლას, ჩოქეოლს ბოლო არ უჩანს და ვერც საქმე კეთდება...

ნუ თუ ასეთ „მოღვაწეობას“ საზღვარი არ დაედება?



# მარტ და ცხრლაში

შაისი.

ორივე ჩუმათ მიღიოდა.

— ამასთან ცხოვრება უმაღლესი ბელნიერებაა. თუ იქნება, ეს უნდა იყოს ჩემი ცოლი, სხვა არავინ არ მინდა, არავინ! ჰფიქრობდა ვარლამი.

— ამას შეუძლია, სრული ბელნიერება მიანიჭოს ასალგაზრდა ქალს.

მე და ეს რომ ერთმანეთს შევხვდეთ, ჩვენისთანა ცოლქმარი იშვიათი იქნება. ეუბნებოდა მაროს გული.

იყო ისეთი წამი, როცა ვარლამმა დაპირა მაროსათვის თავისი გული გადაეშალა და გრძნობა გაეზიარებია.

— მარო! წარმოსთქვა მან გრძნობათა სავსე ხმით.

— მე დამიძიხეთ? უპასუხა მარომ და გულმა ოდნავ ტოკვა დაუწყო.

ვარლამს, ის იყო, უნდა ეთქვა: მიყვარხა, მარო, გაგრებით, უზომოთ მიყვარხარო, მავრამ შეკრთა, გულიდან წამოსული სიტყვები რაღაცამ ყელში შეაჩერა და უკანვე ჩაბრუნა.

გაბედულობა გაწყდა და ვარლამმა უგემურათ წ. ჩანსთქვა.

— რა შშევნიერი ამინდია, მარო!

მაროს პასუხი არ გაუცია. ის სულ სხვა სიტყვებს მოელოდა და იმედის გაცრუებამ გული დაწყვიტა.

ჩუმათ მივიდენ კარგამდე. ვარლამმა ქუდი ოდნავ აიწია და ხელი გაუწოდა.

— ნუ თუ ჩვენსა არ შემოხვალო? დაეკითხა მარო.

— დიდის სიამოენებით, მავრამ საქმე მაქვს.

— მაშ როდის მოხვალო?

— ხვალ უსათუოთ.

გზაზედ ვარლამი თავის თავს ჰკიცხავდა, თავის ხასიათს, გაუბედაობა! ემდუროდა: რომ ეთქვა ის რასი თქმაც სწყუროდა, რაღაცა ამიღზე სულელურათ, უზროთ არ გადასულიყო, მისი ბედილბალი ახლა გადაწყვეტილი იქნებოდა.

— არა, წერილს დავსწერ, დღესვე, ამ საათში დავსწერ! უფრო თავისუფლათ, უფრო თამამათ, უფრო სწორლათ, უფრო გულახლილათ გადავუშლი ჩემს გრძნობას. ჰფიქრობდა გზაზედ მიმავალი ვარლამი.

მოვიდა თუ არა სახლში, მოუჯდა მაგიდას და დიწყო წერილის წერა. ის სწერდა მაროს იმას, რაღაც საზოგადოთ შეყვარებული ყმაწველი კაცი პირველათა სწერს თავისი სიყვარულის საგანს.

დაგუბებულ გრძნობას გამახვილი მიეცა და ვარლამმა თვისუფლათ ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ლოდი აწვა გულზე და მოშორდა...

— მარიკო, რომ დამიძიხა, მე მაშინათვე ვიგრძენი, რომ მას რაღაც სხვა, არახვეულერვი უნდა ეჯვა; მან კი ცივათ განაგრძო: ჭარგი ამინდით, ჰფიქრობდა მარო სავარებლში და თან მამავაცებს უჩიოდა: ქალის ტანჯვა უყვართ. გულში ერთი აქვთ, პირით კი მეორეს ამბობენ ხშირეთაო და სხვ.

— მარიკო, ისე თბილიათ, ისეთი ტკბილი ალერსიანის კილოთი დაიწყო და ისე ცივათ, ისე უგრძნობლით, ისე მშრალია კი დააბოლოვა! არა, არა, შეუძლებელია; მას უსათუოთ, უეჭველათ რაღაცა უნდოდა ეთქვა. ჩატომ აღარა სთქვა? რამ დაუშალა? თუ რამე გადასწყვიტა, რაღას ყოყმნობს? აკი დააპირა რაღაცის თქმა? რაღათ შეფგა? ყველა ამგვარი კითხვები დიდხანს ირეოდენ თავში.

მზე ჩასული იქნებოდა, როდესაც მოსამსახურე ქალმა მას წერილი გადასცა.

მაროს ფერი ეცვალა, გული აუტაკუდა. ჩქარის ნაბიჯით თავის თთახში შევიდა. კონკვერტი გახია, წერილს სწრაფათ თვალი გადავლო და ბოლოზე დახედა.

— ვარლამი! წარმოსთქვა მან. ხელები აუკანელდა, ტუჩები აუთამაშდა, სკამზე ჩაჯდა, მაგიდაზე ხელები დაყრდნო და დიწყო კითხვა.

მაროს სისხლი თავში აუვარდა, თვალებში წამოაწვა. გაფითრებული სახე ახლა აენთო. სიტყვა სიტყვას შეერთა, სტრიქონი სტრიქონს; წერილს ზინდი გადაეკრა, ასოები

ათამაშდენ, სიტყვები მაღლა ხტოდენ, სტრი-  
ქონები ქანაობდნენ და მთელი წერილი დელა-  
ვდა, როგორც აშიშინებული მინდორი ქარში.

მარომ ბოლომდე ჩაიკითხა, როგორც  
იქნა, თვალები დახუჭა და მაგიდაზე შუბლი  
დააყრინო. ტანში ურუან ტელი ურბენდა, ხე-  
ლები და ფეხები ოდნავ უკან კალებდა.

მარო ადგა, ლოგინზე წამოწვა, თვალე-  
ბზე ხელები დაიფარა. როდესაც პირველმა  
აღლვებამ გაიარა, მთელს სხეულში სისუსტე  
იგრძნო. გაშალა წერილი და უფრო დამშვი-  
დებით დაიწყო კითხვა.

გარლამი მას მოსწონდა; ახლა კი გულ-  
ში ცხოველი, წარმტაცი ყოვლად შემძლებე-  
ლი სიყვარული იგრძნო, რას არ მისცემდა  
რომ მასთან ერთათ, იმის გვერდით ახლა ვა-  
რლამი ჰყოფილიყო მას ლაპარაკი არ უნდო-  
და, მხოლოდ სწყუროდა, რომ მასთან ერთათ  
ჩუმათ მჯდარიყო, ხელი ხელზე დაედო და  
მისი სიახლოევე, მისი სუნთქვა მთელი მისი  
არსება ეგრძნო.

აგარაკი ის განაპირს დიდი ტყე იყო.  
ცხვის ხეებს მრავალი წლები თავს გადაე-  
ლოთ: ანკარა მდინარე გალიპულ ქვებს ეხ-  
ლებოდა და მაღლა ხტოდა, ხტოდა და ქა-  
დაგბოდა, ქაფდებოდა და შხეფებს ისროდა,  
თავჭვე ეშვებოდა და შიშინებდა, მირუხრუ-  
ხებდა და, ქვებს რომ გაცილდებოდა, ნელა  
გასრიალდებოდა და წყნარათ მიექანებოდა,  
სინამ გზაზე ახალ ქვებს არ შეეხეოდებოდა.

მდინარის პირას ისხდენ მწვანეზე გარ-  
ლამი და მარო. მაროს მარცხენა ხელი ვარ-  
ლამის მუხლზე ჰქონდა გადადებული და ორი-  
ვე სხვ გაბრწყინვებული მდინარის ცეკვას  
დღვენებდენ თვალს.

— არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არა  
ვყოფილ ვარ ამდენათ ბედნიერი, როგორც  
ახლა, უფრო ებდო და მაროს ვარლამი. ვისაც ამ-  
გვარი მდგომარეობა არ გამოუცდია, ის უბე-  
დურია, უბედური.

მარო ჩუმათ უსმენდა ვარლამს, უზომო,  
უსაზღვრო ბედნიერებას ჰქონობდა და უხ-  
მოთ განსკვრეტდა თავის ნეტარებას.

— შენთან ერთათ, ჩემო სიცოცხლე,  
ჩემი სიცოცხლე, ჩემი ცხოვრების ყოველი

წამი ტკბილი, ნეტარი, სიყვარულით გამთბა-  
რი იქნება. განაგრძობდა ვარლამი და ხელზე  
ხელს უჭერდა მაროს. თათბირობდენ, თუ  
ვის მოიწვავდნენ ჯვარის წერაზე, საით  
გაემგზავრებოდენ შეძლევ, როგორ მოეწყო-  
ბოდენ, როგორ წავიდოდა დილით ვარლამი  
სამს. ხურში და როგორ იქნებოდა მოლო-  
ლინში მარო იშის დაბრუნებამდე და სხვა და  
სხვ.

— ზოგჯერ იმდენი საჭმები მაქეს, რომ  
ხუთ საათამდეც ვერ ვბრუნდები სახლში. შენ  
ამგარ შემთხვევაში არ უნდა მომიცადო;  
უჩემოთ უნდა სჭამო სადილი. ეუბნებოდა  
ვარლამი.

— რას ამბობ ვარლამ. უშენოთ სადილს  
რა გაჭმეს? წარმოსთქვა მარომ, რომელსაც  
იმ წამს მარლამიც ვერ წარმოედგინა, როგორ  
უნდა ეჭამა სადილი უვარლამთ, როცა  
ერთათ იქნებოდენ.

მაღვე დაიწერეს ჯვარი და ყირიმისაკენ  
გასწიეს.

ა. კ. გ. ა. მ. ჩ. ხ. ვ. ლ.

(დასასრული იქნება)

## ზედეულის ცვია

ზაფხულის წვიმა სატრფოს ცრემლია,  
მუქ წამწამებზე ჩამორხეული, —  
მის გამკვირვალე ბროლის წვეთებში  
ნაზი სევდაა გამოხვეული ...

ხან მწუხარებით გულს შეაღამებს —  
და დამაფიქრებს შემოდგომაზე,  
ღრუბლიან დღეზე, მჟენარ ყვავილებზე,  
და უიმედო ცრემლთა ქრთომაზე, —  
ხან კი მზიურა მაისის ხალისს  
ჩამოატარებს ყვავილთა გულზე, —  
და ბრილიან ტად თრთის და კისკისებს  
სულ გაზაფხულზე, სულ სიყვარულზე!..

ზაფხულის წვიმა სატრფოს ცრემლია,  
მისებრ ზღაპრულა და მამზეიდეველი,  
ხან ნაზი როგორც თვით სატრფოს ფიქრი,  
ხან ნაღვლიანი და გულის მჭრელი!..

ქვეშეთი

ა. კ. გ. ა. მ. ჩ. ხ. ვ. ლ.

## წმინდა ხელოვნება

რუსეთი არც ისე დარიძია მოდგაწეოა კრებებით, კრებები კი შინაარსიანი მუშაობით; კრებების გადაწევერილებათა კანსორციელებაზე, ან მათი ცხოვრებაში გატარების ხელის შეწყვებაზე კი არას ვიტევთ. ჯერ კადევ თარმეტი წლის წინად მთხოვდეთ მეწევეულ პედაგოგურ გრებაზე გამოთქმულ აზერების მინიმუმი მაინც რომ გაეტარებინათ ცხოვრებაში, მაშინ დღეს სწავლა-განათლების სფეროში სხვა სურათის მაჟურებელი ვიქნებოდით.

ამ დირს შესანიშნავ კრებაზე, სხვათა შორის, სწავლა-აზოზრდის საქმეში საერთოდ თეატრის და კერძოთ საბაზო თეატრის მხაშენელობასაც საფუძვლიანად შექნენ. ამ საკითხზე დოკტორ რასონიმიშვილი და საუკადებელი მთხოვნება წაიკითხა. მისი შეხედულობით, ბავშვის ნითხოვს სულ და აგებულებას თეატრი. რასაც ათ ავნებს, არას არგებს. ამ შეხედულობის ის უმთავრესად იმით სხინდა, რომ, ფიზიკურ გავლენას რომ თავი დაგანხილოთ, ბავშვის გაუკითხარებელი გრძელი ბა-გონება სრულებით გერ წევდება სცენაზე სახულის დედა-აზოს და ეს კი სომ ხელოვნების მიზანს არ შეეფერებათ? დოკტორი რასონიმი საბაზო თეატრის წინამდებარებულ იაზშევბს. აქ ის რუსთამის მოზროვნე ბირთვლებს იხმარიებს და ამტკრცებს, რომ ბავშვებს არ ძალებთ წარმოდგენის ხელოვნურად დადგმა, არც ხელოვნურად გაწლა და ასეთ შემთხვევაში რა ფასი უნდა დაედგას სხახშვა თეატრისთვის\*). ეს საჭმალდ დადი სხის უკან გამოთქმულ აზრია და არ გაციო ამ სადა შეხედულების როგორ შეხვდენ მაშინ რუსეთის სცენის მოდგაწენი.

იქნება ბ. დოკტორის ამ შეხედულების გამოთქმა თეატრის მტრობათ ჩამოართვეს ზოგიერთებმა, მაგრამ მე კი დახევითოვებით ვიტევი, რომ ჩვენს დროში წმინდა ხელოვნების მისებრ ფაქტზე-პატივისმცემელი რო ძლიმად იუვენ წმინდა სათეატრო ხელოვნებას ბევრას ღდნავ მაინც შეტენბოდა თვითი სამდგილი, წმინდა სახე და ხე-

ლოვნების მიზანიც უფრო პატივდებული იქნებოდა, ვინემ დღეს არის.

საბაზშეც თეატრი ჩვენში არც ისეა ფეხმოკიდებული და მაზე ჯერჯერობით არას ვიტევით. როგორცა ზემოთა ნათევამი, რასონიმი-პიროვნებს ხელოვნების ნამდვილ გამოსახატად უშირესებად განცდა მიაჩინათ. მართლაც, თუ კი ხელოვნების არ შეუძლია ხელოვნური სახს განცდა, ის არცა ხელოვნის წილების დიასი. ხელოვნება ხელოვნის მიერ შექმნილი და გამომცემეული, —ა სად არის წმინდა ხელოვნება. ეს უცდომები ჭეშმარიტებაა, ამის უარეთვა ხელოვნების უარეთვას ნიშნავს.

ხელოვნება თავისთვალი მიუკარებელია, ის თვის ასებაში სხვა რამეს, უცხოს გერ იგუებს...

განა ცხოვრებაშიც ასე არ არის? ადეთ რაც გნებავდეთ: წეარის წმინდა წეალში რომ რა-მდენიმე წევრი ძმარი გაურიოთ, შემდეგ წეალს წეალი არ დაეძიხება, ის ჭარბავს თვისს სამდგილ სახეს, გემოს, სიწმინდეს.

— ამ წევდი დამალევინე, ან დვინო, — ექნება ვაჭარს ქართველი გლეხი, როცა მას, წეალნარევ დგინდს მოუკანენ.

ხელოვნება ხომ უფრო სათუთა!

ჩვენ დოკტორ რასონიმიზე შორის შეგიძინება წასვლა და კიდეც უნდა წაგიდეთ: სახავშეც ზეარის განცდა აკლია და ამით ის ხელოვნების დალატბას; სშირად ხება, სულ სშირად, რომ მოზრდილთა სცენაზეც ბევრ მოთამაშეს განცდის უნარი არ შესწევს, მაგრამ ის მაინც თამაშობს, მრავალჯერ თამაშობს.

თუ კი ხელოვნისთვის აუცილებელად საჭიროა განცდის უტევარი უნარი, უმთავრესად სათეატრო ხელოვნების ქურუმთათვეს, მაშინ, უაჭერება, უამისო „ხელოვნენი“ ჩვენ მარტო მასწილ სახეს თუ გადმოგზებენ ხელოვნებისას.

თენდა ჩვენი სათეატრო ხელოვნების ზოგიერთ მუშაქი მირად მტრობათაც რომ ჩამომართვენ, მე მაინც ვიტევი: გინც წმინდა ხელოვნების ნაცვლად მის უუნდაც ღდნავ მასინჯ სახეს გვიჩვენებს, ის ხელოვნების ქურუმად ვერ დარგებს და მას უნდა ჩამოშორდეს...

ამ მსრათ ჩვენი თეატრი გაფიცნოთ შემდეგ არითდე წერილში და დასკვნაც გამოიტანოთ.

არ. ფანცულაია.

\* ) მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისეთი საბაზო თეატრი, სადაც მოთამაშენი ბავშვებია. ავტორი.

# მასწავლებელი- აღმზრდელი



აღმზრდელი ივანეს-ძე ნათაძე \*)

ერთი მეორეს მისდევენ და უდროვოდ  
გვესაომებიან ხალხის მოჭრანახულე მუშავი.

ერთი ასეთი მუშავთაგანი იყო აღმზრდელი ივანეს-ძე ნათაძე, მასწავლებელი და მწერალი, რომელიც 19 მეტათვეს მოულოდნელად გარდაიცვალა სოფ. კირბალში (გორ. მაზ.) და იქვე დაკრძალეს.

აღ. ნათაძე დაიპ. 1864 წ. სოფ ალვე  
ვს (დუშეთის მაზ.); სწავლა დაამთავრა გორის  
საოსტატო სემინარიაში და სახალხო მასწავლებ-  
ლობას შეუუგა სოფლად. 1884 წ. მოიწვიეს  
თბ. სათ.-აზნ. სკოლის მოსამზადებელ კლასის  
მ. სწავლებლად, სადაც 22 წ. დარჩა. პენსიის  
დამსახურების შემდეგ გადვიდა ბათომის გიმ  
ნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად. განმა-  
თა გილუფლებელი მომრაობის (1905-7წ.) დროს  
გას დაბრალეს მოძრაობაში მონაწილეობა და  
სამსახურიდან დაითხოვეს. რაოდენიმე ხნის  
შემდეგ მიიწვიეს ქ. ნუხას პირველ დაწყებით  
უმაღლეს საქალაქო სკოლაში და აქ სიკვდი-  
ლამდე მსახურობდა.

როგორც მასწავლებელი, აღ. ნათაძე,  
მუკაითი, ბეჯით და ნიჭიერ მასწავლებლად-  
ითვლებოდა. მაგრამ იგი მხოლოდ ამ მხრივ  
არ იყო ცნობილი: 80-იან წლებიდან მოყო-  
ლებული ქართულ ჟურნალ გაზეთებში ათა-  
ვებდა სწავლა-აღმზრდის შესახებ წერილებს,  
საყმაწვილო ამბებს, მოგონებათ და სხ. ხშირად  
ლექციებსაც კითხულობდა ბავშვის აღმზრდა-  
მოვლის შესახებ.

ა. ნ. შეადგინა პირველდაწყებითი სახელ-  
მძღვანელო „ბაგშების მთკეთე“, „სამშობლო  
ენის შესწავლის მეთოდის“; დასწერა და გაღმო-  
აკეთა: „წერილები მშობეფთა მიმართ“, „მეტი-  
ს თავისადასაფალი“, „საუსწყილო ზღაპარი“,  
„აღზრდა შეიჯისა“, „ბაგშების მთვლა“, და სხ.  
1902 წ. გამოუშვა პედაგოგიური წერილები  
„ჩვენს დედებს“, მარტივი და აღვილ-გასაგები  
ენით დაწერილი წიგნი, რომელიც მშობლე-  
ბს სააღმზრდელო აზრებს აკნობს და ქარ-  
თველ დედას არიგებს, როგორ აღზრდოს  
შეიღი.

აღ. ნათაძის მთელი სამწერლო მოღვაწე-  
ობა მიძღვნილი ჰქონდა „ჩვენი საცოდავი სა-  
შობლოს დევგრძელებას“, — საგანი მისი იყო  
განაში ჩვენის ცხოვრებისა — სწავლა-აღმზრდის  
უკუღმაროობა. იგი გვასწავლიდა, რომ თუ  
რიგიანი დედები არ გვეყოლა, არც რიგიანი  
თომა აღვეზრდება. წერით, კერძო თათბი-  
რით თუ ლექციებით, ცდილობდა, ქართველი  
დედებისთვის სწორი და ჩვენის ქვეყნის-  
თვის სასარგებლო სწავლა-აღმზრდის დარიგე-  
ბანი მიეცა. მხოლოდ ის ქვეყნაა ბეჭნიერი,  
რომლის შეიღისაც გონიერი, მამულიშვილუ-  
რის გრძნობით აღურთოვანებული და ხალხის  
სიყვარულით გატაცებული დედანი ზრდიან,  
გვასწავლიდა იგი.

ჩვენი ცხოვრების უკუღმაროობამ — შარ-  
ოლა და საზოგადოებრივმა გარამა — აღ.  
ნათაძეს ბევრჯერ შეუშალა ხელი და ნება არ  
მისცა თავისი სასარგებლო მოღვაწეობა კიდევ  
უფრო გაეფართოებინა. თავისი პირველდა-  
წყებითი სახლმძღვანელო „ბაგშების მთკეთე“  
რო გამოსცა, დიდი ალიაქოთი აუტექეს, არა  
ერთგზით გაპერცეს, მაგრამ შიუხედვად ამისა,  
ქვეყნის სამსახურზე გული არაიცრუა და ჩვე-

ნი სწავლა-აღზრდის საქმეში თვალსაჩინი წვლილი შეიტანა. ქართველი დედა მიდლობით მოიხსენიებს აღ. ნათაძეს და ის ამისი ლირიკული არის.

კურთხეულიმც იყოს ხსენები მისი, მოზარდი თაობის ნამგლარ მუშაკის ალექსანდრესი.

## ს ა ხ ა ლ ხ ო მ უ შ ა კ ი



### გორგი სპირიდონისძე ლომთათიძე

გულსაკლავი და შემზარავია თვითმკვლელობა ახალგაზდა. კონპერატორის გორგი სპირიდონისძის ლომთათიძისა..

ჯერაც ერ მოგვინელებია ორ ინიჭერი ახალგაზდას — კინა ფშაველისა და გრ-ხელხელიძის — თვით მკვლელია, რომ მათზე არა ნაკლებ სასარგებლო მუშაკი გამოგვესალმა...

ნუ თუ ასე დაკნიდა ახალგაზიდობა, ასე მიეზეა ძარღვებით, რომ მხოლოდ სიკვდილში ჰპოემს ხსნას?

ჩენენს თვითი აღრჩნებასა-კი ეჭირვება არა თვითმკვლელნი, არამედ თვითმებრძოლნი...

გ. ლომთათიძე ნამდვილი ხალხის შვილი იყო, გლეხთაგანი, გურიიდან. დაიბ. 1886 წ. ს. ბახვში. სამინისტრო სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ, თბილისს ჩამოვიდა საშუალო სწავლის განსაგრძოლებად, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეისრულდა და თვითგანვითარებას შეუდევა; ძმის დახმარებით რუსეთს გაემგზავრა სწავლის შესავებად, გარშა 1905 წ. სამშობლოშივე დაბრუნდა, დღიურ მუშად დაიწყო მუშაობა და პრატიკულ მუშაობას შეუდგა, ამავე დროს მწიგნობრობას

მისდევდა. საკუთარ წერილ მოთხოვობათა გარდა, სთარგმნა: „წერილები ძმასთან“, „მუშათა გამარჯვება ინგლისში“, „მუშა ქალი“, და სხ. დაუბეჭდივი დარჩი მაქ. გორკიდან ნათარგმნი მოთხოვობა „დედა“.

ერთხანად ქ. შ. წ. კ. წიგნსთვაჭროშიც მსახურებდა, ხოლო ამა 1916 წ. საკონკრეტო ციო კურსებზე დამთავრა სწავლა და ამ დარგში დიდი უნარიც გამოიჩინა, თეორიულ თუ პრატიკულ მხრივ, მაგრამ აღარ დასცალდა თავისი ძალით სავსებით გამოვჩინა: 21 მკათათვეს თბილისში თავი მოიკლა (დარჩა მეუღლე და მცირე წლოვანი ბავშვი).

მისი სიკედლი დიდი დანაკლებია ჩვენში ახლად აღორძინებულ კოპეტიულ მოძრაობისა.

დაე, მისი შრომის მოყვარეობა და საქმის სიყვარული წასაბაძ მაგალითად ჰქონდეს მოზარდ თაობებს. ხოლო ხვედრიკი — აშორებოდეს...

ხსოვნა მისი არ წარიხოება კონკრეტის მოღვაწეთა შორის.

### ოოსებ არიმათივლი

## ქველი პაბავი

ფიფქ თოვლსავით თეორ წვერას უთქამს ბევრჯერ თავის გულში: მოურავი უსვინდისოთ ორგულობსო ჩემს მაშულში. თესვით მევე მათესვინებს მოწევულს თვით მიირთმევსო, იხ!! ამაზე მოფიქრება, ნერწყებს მიშრობს და გულს მირევსო, ეს სთქვა და კარი გაიღო!.. ბრძენსა ქვით გაუტეხეს თავი. აბა, ნახეთ მალე მკვლელი, სსუ... ბრძანდება მოურავი,... ქუდულებ მოკლეს მოხუცი. აშსრულებელი ვალისა, რისთვის ნეტავი? რა შურდათ? თვალ-მარგალიტი ლალისა? ვ-ცით, რაც სურდათ, ვერ ვიტყვი, ენაა დაუნჯებული, ლაგამი რაღანც პირში მაქვა!, ორკეულათ ამოდებული!..

გარდენ ლგანკითელი  
1887 წ. 24 ოქტომბერი.

## ლოზვისპაიადან

მე მიყვარხარ, ისე როგორც ზღვას მოლურჯოს მზისა სხივი,  
როგორც ნარგიზს—თავ-დახრილსა—ტალღა რბილი, ტალღა ციფი,  
მე მიყვარხარ ისე, როგორც ვარსკვლავებსა ვერცხლის მთვარე,  
როგორც მგოსანს თავის ქნარი, თავის მუზა მოელვარე;  
მე მიყვარხარ ისე, როგორც ჭრელ-ფარგანას სანთლის შუქი,  
მიყვარხარ და ვდნები, ვქრები: პირს დამედო ფერი მუქი,  
მე მიყვარხარ, როგორც ქარსა აშოლტილი ტბის ლერწამი,  
მიყვარხარ და იტანჯება სული ჩემი განაწამი.  
მე მიყვარხარ, როგორც უვავილს სიო მთიდან მონაბერი:—  
შენ ხარ ჩემი მზე და მთვარე, მაისი და დეკემბერი.

მარიჯან

### პ—პს

ხან ჩემი ხან, ხან კი სხვისი,  
უველას ჰეიბლავ სინაზითა,—  
ქალო შენი შესატყვისი  
ვერ გავიგე ვერასგზითა.


რად ასჭირე წყრომით წარბი?  
არ გიამა სიტყვა წმინდა?—  
თუ ჩემი ხარ—საით გარბი!  
თუ სხვისი ხარ.—აქ რა გინდა!

წალენერი.



მსახიობი ნემო

11 მარიამ მისი ბენეფიცი ხონში



თ. მაქარი რომანის ძე ჭავჭავაძე (1837-1916)  
სამხედრო-სამოქ ლაქო მოღვაწე. სხვათა შორის მნა-  
ზილებრძა სამოცაან წლებში სახემწიფო გლეხთა საა-  
დგილ-მამულო მომწყობ კომისიაში. დაჯილდოებული  
იყო მრავალი ჯილდოთი. გარდ. 27 მკათაფეს 1916 წ.

## სადა ხარ, ხადა!..

სადა ხარ, სადა, ჩემო მნათობო,  
ოჳ, შენს დანახვას როგორ მოველი,  
შენის ლოდინით ვცოცხლობ ჩაგრული,  
მო, გამინათლე ცხოვრება ბნელი!..  
თორებ ფიქრებმა ლაშის დამიხშო  
რწმენის სიმბოლო, იმედის მფენი,  
ლაშის გამიქროს მომავლის ცეცხლი  
და დამიმსვრითს ხსნის ყავარჯენი?..  
შეუბრალებელ ცხოვრების ტალღებს  
ვებრძვი გმირული ცეცხლით გზნებული,  
გეძებ და გიხმობ თავ-დავიწყებით  
შენის ტრფიალით აღტყინებული!..  
სადა ხარ, სადა, სულის ნექტარო,  
ფიქრის ვარსკვლავო, ვარდო გულისა,  
სადა, ხარ სადა, ჩემო მნათობო,  
შიკრიკო ტანჯვის აღსასრულისა!..  
ხ. გარდოშვილი



ელო ანდრონიკაშვილი

მთარგმნელი „მზის საიდუმლო-“სი და ელოეს როლის  
აღმასრულებელი.

## „გვის საქართველო“

იგავი 1 მოქმედებად ბ გვიარისა,  
თარგმანი ელო ანდრონიკაშვილისა

Настоящая пьеса подъ заглавиемъ „Тайна Солнца“  
перев. Андроникашвили, разрѣшена Намѣстни-  
комъ Его Императорскаго Величества  
на Кавказѣ для представлениія на сценахъ края  
(Отвѣтъ Канцелярии за № 7126—196 14 марта  
1913 года, гор. Тифлисъ. И. О. Предсѣдателя  
Комитета В. Колобовъ. Секретарь Ал. Гусевъ



იგანე ილარიონის ძე ადამიძე

ტომსკის ტეხნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურ  
სიდან თავის ნებით გადვიდა თბ. მიხელის სამხედრო  
სასწავლებელში, აქ სწავლის დამთავრების შემდეგ კა-  
ვკასიის ასპარეზე გამწერდა. 5 თვის სამსახურის შემდეგ  
როტის უფრო თბა მიიღო. საოცარი მამაკანის გამო-  
ჩენისათვის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. აზრუ-  
შის აღების დროს არა ჩვეულებრივი გმირობა გამოი-  
ჩინა, მიიღო წმ. გომრგეს მეოთხე ხარისხის ორდენი  
ჭარდებილია ოქროს ხმალზე.

## პ ლ ა შ ე ბ ი დ ნ ი:

- |                     |   |           |                    |
|---------------------|---|-----------|--------------------|
| ფართო               | — | —         | ეგვიპტის ხელმწიფე. |
| ელოე                | — | —         | მისა საყვარელი.    |
| გარსკვლავთმრიცხველი | — |           |                    |
| ქურუმი              | — |           |                    |
| პირველი კარის კაცი  | — |           |                    |
| მეორე კარის კაცი    | — |           |                    |
| 1                   | { |           |                    |
| 2                   | { | შიკრიკნი. |                    |
| 3                   | } |           |                    |

სასახლის კაცი, მემუსიკენი, მოცეკვავენი, მონანი, მხე-  
დარნი და მდაბიო ხალხი. მოქედება სწარმოებს ეგვი-  
პტები ქრისტეს დაბადების 300 წ. წინათ სცენა წარ-  
მადგენს დიდებულს დარბაზს, ფარაოს სასახლეში.  
სიღრმეში სვეტების მთელი წყება და გასასვლელი ბა-  
ნეჟ, რომელზედაც ჩამოფარებულია ზევიდან ძვირფასი  
ქსოვილი. ცა შავად მოსხანს. მარჯვნივ ნიში მემუსი-  
კებისთვის, რომელიც არ მოსხანან, რადგან ფარდა  
ჰფარავს. მარცხნიცა კარები, ფარდა ჩამოფარებული,  
რომელიც ელოეს ოთახში გადის. კარების მარჯვნივ ჭრა-  
ქები ანთია. ძვირფასი, დაბლა გაკეთებული სარეცელი  
ფარაოსათვის, მარცხნივ სდეას. მაგიდაზე ხილი და სხვა  
და სხვა ღვინო აწყვია. პირველი კარის კაცი ზის. მე-  
ორე კარის-კაცი მიღი-მოღის. პირველი-კარის-კაცი  
ჭადარა მოხუცა, მეორე შუა ნის ორივეს ტანისამო-  
სზე ძვირფასი მორთულობა აქვთ.

1 კარის-კაცი. ხომ გაიგონე რა სთქვა  
მოსულმა გარსკვლავთმრიცხველმა?

2 კარის-კაცი. ამბობს, მჩე მხოლოდ მა-  
შინ ამოვა, თუ ვიპოვით თუნდ თრს მაინც  
გატაცებულს ჭეშმარატრ სიყვარულითა.

1 კარის-კაცი. მეფე მოღუშულია.

2 კ. კაც. რასა კვირველია მოიღუშება.  
მეორე თვეა, ნათელ-დღეს ვერ ვხედავთ და ლა-  
მებს ბნელსა, უკუნეთსა, სამარისებურ საბურა-  
ვით მოუბურევივართ, შენ გეხსომება საშინელი  
იგი საათი? ცკლაკნებოდა ელვა ცაში განუ-  
წყვეტებოდ, ჰქუნდა და სკექდა, მოღიოდა  
გოგირდის სუნი...

1 კ. კაც. გველანდებოდა, თითქოს ზე-  
ცა მიწას მიეკვრა. გარე მოგაიცა უკუნებათ  
და აქმდისინ უცვლელიდ დარჩა...

2 კ. კაც. და მჩეც მას აქეთ აღარ ამოღის.

1 კ. კაც. მზიარულების აღმაფრენის  
დროს, როცა ისმოდა თავ-ბრუს მხვევი სი-  
ცილ-კისკისი, როცა მეუფეს სურდა შიშველ  
ქალწულთა მზერით ნეკტარი ესვა,—გაჰქინენ  
ეცრათ სხივები მზისა,

2 კ. კაც. მისი გარეუნილება გარდაიქცა საშინელებად. აქამდისინ არ ნახულა, რომ მთელი ქვეყნის ქალწულნი მოექრიბა და მოგუგუნე მეძავთა გუნდში შეერექნა.

1 კ. კაც. ოღარ იცოდა დასასრული ვნებათა ღელვაში.

2 კ. კაც. ეხლა, როგორც სჩანს, გავირისხდენ უკვე ღმერთება.

1 კ. კაც. (მიუჟახდოდება 2 კარის-კაცს და საიდუმლოთ ეუბნება) ვშიშობ, საშინლად დაგვსჯიან ჩვენ, და სიკვდილს ვერ გადურჩებით

2 კ. კაც. { ჰა, ვაგლახ ჩვენ!

1 კ. კაც.—იგი აქ მოდის. მივეგებოთ. (შარჯვინივ მიდანის და კარეპშა შეხვდებიან ფარაოს და ეჭვეს. ფარაოს გამ შრალი, მოდუშული მოხუცია. გარეგანი შეხედულება დამშებდებული აქვს. ეჭვე დამზია, წერწეტა ქალა, მცუბუქ და ფერ ტანისმოსში, ავარებელი სამეჯულებით)

ფარაო. (1-ს და 2-ე კარის კაცთ) მე თქვენ გეძებდით. (ეჭვით) რას აკერძოდოთ?

1 კ. კაც. ოქვენთვის ღმერთებს ბედნიერებას ვევედრებოდით.

2 კ. კაც. საკეთილდღეოდ ჩვენდა, შენი თავი საუკუნოდ შეგვანარჩუნოს. რომ მზემ ისევე დიდებულათ გამოიბრწყინოს და მოგანიჭოს განსვენება, სულის მშვიდობა.

ფარ. არ შეერა თქვენი რწმენა დავკარებ ხალხისადმი და მგონია, თქვენც განგებ ხართ აქ შეკრებილი, რომ ჯალოსნობა გამიწიოთ მიმუხთლოთ რამე.

1 კ. კაცი. აბარას ბრძანებთ, ხელმწიფეო!—

2 კ. კაც. რატომ გგონიათ!

გარსები. ყველა ჩეთა ვართ სიცოცხლეი შენ შემოგრძიროთ.

ფარ. (შესრედ იღიაშება) ჩემის გულისთვის ყველაფერი!!! რასაკვირველია მხოლოდ სიტყვებით. (ეჭოეს) აბა, წვიდეთ, მშვენიერო, განისავენებლად. შენ ჩვენ გვიამბობ ლამაზ ზღაპრს და ღიმი შენი, თვით მზესავით სულსა გაგვითხობს.

ელოდ. წვიდეთ, ჩემო მბრძანებელო (სხდებიან ფარაოს სარეცელზე, დანარჩენი გარს შემთუსხდებიან.)

ფარ. დამიძახეთ ვარსკვლავთ. მრცხვევ-

ლსა. გაიმეოროს თვისი ბოდვა. ზოგჯერ მოსმენა ამბის გასართობია. (მონა გავა დასაძახებდათ)

1 კ. კაც ეგ მოხუცი გამოყეყეჩდა. რაღაც ყოველთვის ლაპარაკობს უანგარო სიყვარულზედა. იგი ამბობს, რომ თუ კი სადმე მოიძებნება, ორი ქეშმარიტ სიყვარულით გარაცებული—მაშინ სიბნელით მოცულს მხარეს, მზე ისევე გაულიმებსო; მაგრამ არ ვხედავთ განა ორსა აი აქვე?

ფარ. მერე ვის ხედავთ?

1 კ. კაც. შენ, მარძანებელო, მშვენიერი სიყვარელით ურთ. იგი არ არს განა, რომ უყვარხარ გატაცებით, ვნებათა-ღელვით?! და შენც..... (შაუზა)

ფარ. (გადაწევებულებად) მეც.

1 კ. კაც. ჩამოსული ვარსკვლავ. მრიცხველი უზრდელი, მატყუარა! (შემთდის ვარსკვლავთმრიცხველი. გაჭიდარავებული მახუცია, ასაღგაზრდებით, ცეცხლისმფრქვევი თვალებით)

ფარ. რას იტყვი ახალს?

ვარსკვლავთ-მრიც. ყველაფერი ესთქვი.

ფარ. კიდევ იმეორებ შენს აბდა-უბდას? კიდევ ამპობ, რომ მზე მხოლოდ მაშინ ამოვა, თუ ვიპოვით თუნდა ორს მაინც, გარაცებულს ქეშმარიტი სიყვარულითა?

ვარსკ. -მრიც ვინც გულით არის წმინდა, აზროვნებით უცოდველი, ვინც „მეორეს-თვის“ სიცოცხლესა მსხვერპლად შესწირავს.

ფარ. ერთი უკვეა.

ვარსკვ-მრიც. ვინ არის იგი?

ფარ. მე.

1 კ. კაც. და მეც მზათა ვარ, ხელმწიფის-თვის ყველა წამში თავი გავწირო; ავიტან ტანჯვა, წამება, სახრჩობელი და თვეთ სიკვდილი!

2 კ. კაც. მეც.

ყველანი. მეც!.. ჩვენც!

ვარსკვ-მრიც.— როგორ ბევრნი ხართ? ძლიერ ბევრნიც? მხოლოდ ორც საქმარისია.

ფარ. შენ სულ იცინი!.. და მეშინის შენმა სიცილმა მწარე ბოლმოდის არ მიგიყვანოს...

ვარსკვლ-მრიც. რა უყოთ მერე? სიკვდილისა არ მეშინინიან. გაეც ბრძანება ჩამო-

მახრხონ. მაწამონ, მცემონ!.. გახრშნილებაში ჩაფლული ხარ! აზრი ნათელი არ ეტყობა შენს პირის სახეს. თუ არ დმერთების განრისხება, შენს ცხოვრებაზედ არ იფიქრებდი.

**ფარ.** (წამოხტება) ხმა ჩაიწყვატე, უგუნურო!

**გარსეკ მრიც.** თვით შენვე დამიძახე და მიბრძანე მელაპარაკნა.

**ფარ.** გასწი, გასწი, გიუებს არა ვსჯი!

**გარსეკ-მრიც** მივდიგარ, მაგრამ დახსომე რაც გიახარი. ძალ-მომრეობის, მატყუვრობის, გარყვნილობის ორმაში ხართ და ერთი გიხსნით,—თუ იპოვება ორი მაინც, რომ გასწირავდეს სიცოცხლესა მოყვასისათვის და აზროვნებით იქნება წმინდა,—მჩეს დაინახამთ, თუ არა და სიკვდილი გვლით. (გადის ბანისქება)

1 კ-კაც. საბრალო გიუ!

2 კ-კაც. თავხედი! საშიში არის!

**ფარ.** დავეხსნათ იმას! (ეჭოეს) შენ გვიამბე რამე ზღაპარი. ბაგე გახსენი სინარნარით გაიღიმილე მშვენიერი რამ სხივები შენს თვალში ჰკრთიან და გავვიწიონ იმათ მზისა მაგიერობა. შეკრბენ, მოიყვანეთ იგივ მხევალნი და იციკვონ ტკბილ და წარმტაც ვნებათ-დელვის ხების ჰანგებზე... საქმარისია დალონება, სულით დაცემა. (შემოდიან მესიკოსნი, შოცეაგავენი, ცეკვავენ. მონები დეინოს დაატარებენ, ცეკვა თავდება) ჩვენ ყურს შენ გიგდებთ, მშვენიერო. (ეხვევა მას)

**ელოე** არ ვიცი რა ვსთქვა?.. დღეს რა-ლაც მიმიძის, სუნთქვას მიკრავს და გულს მისუთავს. ისე ზნელა აქ, სიცივეა, სიცალიერე, და ამასთანვე მეშინის შე....

**ფარ.** ვისი?

**ელოე** ისე მეშინის! ისე მძლავრი ხარ; ისე დიდი: ისე სასტიკი და მე კი სუსტი.....

**ფარ.** ნუ გეშინიან! ჩემი სისასტიკე შენ არ მოგწვდება... ჩვენ სმენათა ვართ. (უკრავს ჩანგი)

**ელოე** (დეკადამაციათ)

— მჩე ბრწყინვალებდა... წყარო ნელად მოჩეხებებდა, ათროთოლებული აჩრდილები ძველი გმირების, ალერსიანად თამაშობდნენ წყაროს ჩქეფებში.— ფოთოლთ შრიალში მო-

ისმოდა ნაზი ჩურჩული, გაუბედავი ვითარ კოცნა გაზაფხულისა... და იგიც იმას ასე ეტყოდა: — მე შენ მიყვარხარ... შენ მიყვარხარ... მიყვარხარ შენა...

— მჩე ბრწყინვალებდა... ფრინველთ გალოსას სინარნარე ემატებოდა. იცინოლნენ ოქროს ღრუბლები. ბამბასავით გადაპენტილნი ოცნების გალთას გვანლნენ და სახუმაროთ ამართულნი ერთმანეთზე გადარბოლნენ... და ის კი იმას განუვრმნობდა: — მე შენ მიყვარხარ... შენ მიყვარხარ... მიყვარხარ შენა...

. . . მჩე ბრწყინვალებდა, უფრო ქვევით ძირს იხევბოდა ჰაერი სავსე, სავსე იყო სურნელებითა, ცელქი ნიავი, მორამაშე მოქნილ ტოტებს დასხერჩულებდა, ძარს ჩნევ ვდა! და ის კი იმას კვლავ ეტყოდა: მე შენ მიყვარხარ... შენ მიყვარხარ... მიყვარხარ შენა... (საჩქარდ შემოდის ქურუმი. ჩანგი შესწევდება)

**ქურუმი.** დიდებულო მბრძანებელო! შენ რომ შიკრიკნი გააგზავნე სიყვარულის და სიმართლის მოსახებნელათ — უკვე დაბრუნდნენ. ხაგრძლივი იყო მათი გზა და მასთან ძნელი, თუმცა სულით მაგრათ არიან. ეხლა ელიან შენს ბრძანებას, რომ აქ მიიღო.

**ფარ.** მე მზათ ვარ, თუმცა მშვენიერსა ზღაპარს არღვევენ. მოტვეებას გთხოვ მშვენიერო, მერე გვიამბობ. (1-კარის კაცი) პირველი იხმეთ.

1 კ-კაც.—(მიდის მარჯვენა კარებისაგენ. სცენის იქთ) შემოდი, გელის მბრძანებელი. (1-კარ. კაცი—ბრუნდება შირველ შიკრიკთან ერთად. შიკრიკი შეიარაღებულია, ჭუჭეანი და მტკრიანი)

1 შიკრიკი. (ფართს წინაშე კარებდება) სალამი შენდა მბრძანებელო! გარდოგივლინოს შენ ლმერთებმა ქვეყნიური კეთილ—დღეობა!

მზის დასავლისკენ მივდიოდი, რამდენს ვიდოდი გზათ, აღარ მახსოვს, რაღვან რაგანვლე, თანამგზავრათ უკუნეთი ღამე მს-დევლა. უფარსკვლავებოდ, უმოვარეოთ იყო გზა ჩემი.

**ელოე ანდრონიკაშვილი**  
(გაგრძელება იქნება)

# ნაწევეტები გრ. ხერხე- ულიძის დღიურიდან \*)

დეკემბრის 18 - 1914 წ.

ადამიანი.. რამდენი რამ იგულისმება ამ სიტყვაში. ვითომ სინდისი? გმილეთილობა? პატიასწება? სად არის, სადა?!.. უფეხლივე ეს ფუქსისტებაა, ტუვილი მატების ჩემია. მაში რა არის ადამიანის გულში დაფარული?!.. — მსოფლიდ სიბინძურე!

ადამიანის გული ბოსხება — ნაგვით საჯეო. ენა მისი დაუშერეტელი, ამღვრეული, ბინძური წეართა, რომელიც ასე უხვადა რწევას გაცია გზებას — ძვირით, შერით და თვალთმაქცებით... თუნდაც ეხლა, იქ, სადღაც, იქნება ძალიან ახლოსაც, ბოროტი ენა ვინ იცის რაგება არა სჩმასებს, ვინ იცის რა ეპიტეტებით არ ამჟამს ჩემს პირველებას.. და, დაძინონ, და სარგასტრიულად ისითხითონ: „ბოროტი კაცი დღის სინათლეს ვერსად წაუგა, თუნდა დასამალად ჭავალებით გადაეფართს“... არასფერია. ჩვენ სამაგიეროს არ ვეძიებთ, გადახდას არა ვალობობთ. შირი იქით საჩქარს შევსთავაზებთ, რათა ჩვენი ისეთი კეთილმობილური საქციელით შერცხვენილს შეძლება მიეცეს დაინახოს თავისი გამურული, გაადაფული, განგიანი სახე და შემდეგ იქნება მაღლიერებიც დაგვიაჩებს, რომ საჭირო შემთხვევა მიგეცით თავის უმგზავსობის დანახვისა... ეს ხომ ზნებრივი. სიგვდილი იქმნება იმისთვის. მაგრამ ასეთ სიგვდილს რას ვაჭრებთ, თუ ერთის სიგვდილით ათასს სიგვდილისაგან დაიისნით.

დეკემბრის 21.

უცხთეთში შეოფუ სშირად ოცნება და ფაქტი მასეულდებულებს, მაგრამ ხანდისხან მოგეწყინება ადამიანს ამდენი თავის ტუშება. და მეც ასე მემართება. ახლოს არავინაა... ეჭ, მშობელი

\*) უბედურად გარდაცვალებულ სტ. გრ ხერხეულიძეს მრავალი ხელითნაწერი დარჩა — პიესები, ლექსები, სხვა და სხვა მეცნიერ-ფილოსოფოსთა ნაწერების შენიშვნა-დახასიათებანი და სს. მათ შორის აღმოჩნდა დღიური, რომელიც განვითნებულის ძამ მის ხერხეულიძემ გადმოვცა. ეს დღიური საზოგადო მნიშვნელობას მოკლებელი არ არის და ამიტომ დროგამ შვებებით დავბეჭდავთ. რედ.

მაინც იუვეს გვერდით, რომ ვუთხრა რამე... ზოგი ამ ნატენის ბაგშიაში ჩამომართოვეს; რა ვუყოფ მერე!.. მათ არ უგრძენით სიევარული შშობლისადმი, რომელიც და დამ შეიღის საკეთილ-დღეო ზრუნვაშია!..

არც მეგობარია... იქნებ იყო კიდეც, მაგრამ დამშორდა, მერილება... ველარ მიცვნია; სადი თვალების პატრიანი ძალათი თვალებს ისვევს. უოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება... საქმეს გააჩნია... თვალის ასვევაც არის და თვალის ახვევაც. ზოგი განგებები გენტენება თვალ ახვევული, წინასწარ აღებული აზრით... იქნებ ისიც ამათ რიცხვს ეკუთვნის!.. არა... დაუჯერე-ელია... ღმერთო, მაშორე ასეთ შავ ფიქრებს!

დეკემბრის 23.

სშირად ადამიანი კაცს საცეცით ვერ იცნობს. მეც ერთს მათგანს ვეკვეულები. ერთი თვალის გადავლებით ვებედავ ჩემი შეხედულების სიკალბეს. დღენი მიდიან და ვოწმუნდები, რომ ვერ ვიყენი სათანადო შეხედულებისა იმ ადამიანზე, რომელიც თურმე ჩემი ასეთი ძმურის სიევარულით იყო გატაცებული. სანდისხან დარც, მოუცლელებაც გვეშორებს, სანდისხან ერთმანეთს კიდევაც „წაუხრის თლებით“ (ხევნი ტერმინია), მაგრამ სიმი შემართებული ჩვენიერთ სულთანებისა ფლიავაც არ ასჭირება. არც გასწევდება... .

ვინ არის? — იგთხავთ — რა ადამიანია?.. — უწინარეს უოველისა ის ადამიანია — კინა ფშაველი. როგორია?!.. რა ვიცი... ვიცი მხთლოდ, რომ შეგობარია გვლისა. მე კი ცუდს, ვერაგ კაცთან რა მექნებდა საერთო!.. არასფერი! სხანს ადამიანი უფასო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. და რომ ეს ჩვენი შეგძლივება გულწიფრები და სამარადისო იუვეს, შე განვიზნება შევეცდო მთელი ჩემი ძალდონით, აფად თუ კარგად, გამოგსცე მის დეკისა კრებული. ვგონებ ჩემის სიტყვის ბატონი ვარ და, ვნახოთ რითი გათავდება ჩემი განზრახვა. ნერავი კი სამარცვინო ცოძე არ გამაკრას ჩემს დღიურში ჩაწერილმა ჩემმა სიტყვებმა!..

(შემდეგი იქნება)

გრ. ხერხეულიძე

# მოგონებანი დავით

## გიგიშვილის შესხვები

ამ დღებზე უცებ გარდაიცვალა სახადხო მოღვაწე, დავით გიგიშვილი, ხალხის აფ-გარგას, მისი ჭირისა და ლინის მცოდნე.

დავით გიგიშვილი უფრო ცნობილი იყო თბილისის ძეველებურ შეკვიდრ მოქალაქეთა შორის: მისი ლექსები ჯერ ამათში გრცელდებოდა, შემდეგ-გა სოფლებშია.

მისს ლექსებს მდეროდნენ, როგორც სახადრები, ისე სხვა და სხვა თჯახებშია. მისი ლექსითა წიგნები იმ დროს, როცა სხვა წახაკოთხი წიგნები ცოტა იყო, გადადიოდა ერთისგან მუთხეს ხელში, ერთი თჯახიდან მეორეში. ამითი იმ დროს ქართული წერა-კითხება გრცელდებოდა. —

მასს აფეს ერთხელ ჩვენი თჯახი და ტესტიულ ერთი სომხის თჯახში. იმ დროს ჩვენსას იყო სტუმრად დავით გიგიშვილი. მამა ჩემს სოხოვეს, ოქენის სტუმრითგვაც გამოწვივეთო. მამა-ჩემს ამ სომხის თჯახში უნდა მოეხატოს ახლად შეძენილი გაფიშვილი. მამა ჩემს მე და გიგიშვილი თას წერილებანა, გიგიშვილი ამ თჯახისათვის უწნობი იყო.

ნათლობის შემდეგ გაიმართა სადილი უწინებურ საზონდრო. ბოლოს ამ თჯახის უფროსშია, თავის შედეგი შეიცილი ნათლობის სისარელით სუვიაზე საზონდრებოთან ერთად სიმღერები დაიწყო: კი მომდერალი სხანდა, თუმცა ხანში შესულიყო.

სხვათა შორის მოხუცმა ერთი ლექსი დაიწყო სიმღერით, მაგრამ სისოფაში უდაბატა ააბოლოთში შესდგა. ძალიან სწუხდა რომ კერ დააბოლოვა ეს მშეგნიერი ლექსი, სუველის უქებდა ამ ლექსის დაბოლოვება ძალიან სინტერესობათ. ბოლოს დაასხა ერთი თავისიანს და სოხოვა ამა და ამ თჯახში მიმღები და სოხოვე ჩემს მაგივრათ, იმ დღეს რომ ახალი ლექსის წიგნი გათხვეთ გამომიგზავნებოთ.

მოხუცმი მომღერალი იმ წიგნის მოღადიანში იგანებდა და გამუშებულ ლექსის ადგილებს, მაგრამ ამათი. ბოლოს გიგიშვილმა სიცილით და თანხაც მოკრძალებით სთხოვა მოხუცმა: „ბიძა, ამა დაიწევ კადებ ის ლექსი, მე მოგაგონებ რაც დაგავიწერ“.

ეს იუქადრისა მოხუცმა და დავითს უშასესა: „შეს საიდნ გეცოდინება, რომ ჯერ მეც ზეპირათ კარგად არ მაქს შესწავლით!“ დღეს მე ვიტიდე ახალი წიგნი გიგიშვილის ლექსებისა, შეზობლიათ მოხვევს, მეც ხათრი არ გაუტექოთ“.

რადგანაც წიგნის მოტანა დაგვიანდა, გაგიშვილმა მთავრისა მოხუცმი იმ ლექსის დავიწებული ადგილები. მოხუცმი დადს სისარელის მიცემა გაუკეთდა და დადის ზემით დასრულა ეს ლექსი.

ბოლოს გაგვირვებულმა მოხუცმა შეჩამნა გიგიშვილს: „ისევე უფრო კარგად გცდნიათ ის ლექსით“. მამუ მამაშემმა დაუმატა: „ის ლექსი ამის შეთხულით და თვით ეს არას დაუით გიგიშვილით“.

თუმც მოხუცმი მასშინძელი ძგელი და ახალი ქართული ლექსების მცოდნე ერთიანები და თვითულის ადგინებდა აგრესივ გიგიშვილის ლექსებსაც ძალიან გაუსარდა მისი ასეთი უცაბედი განცხაბა. დანარჩენი სადამო იმ დღეს თოთქმის გიგიშვილის ლექსებს მთავრობის. მოხუცმი იგანებდა სხვა და სხვა მისს ლექსებს, თვით გაგიშვილიც უმატებდა შიგა და შიგ გამოტოვებელ ლექსის ადგილებს, რომელიც კერ დაბეჭიდილიყო. ბოლოს გიგიშვილმა შატარა ლექსი — სადღეგრძელო უძღვნა ახალად მონათლულის. ასე, რომ მთელი ის სადამო მოულოდნებად გადაიქცა თოთქმის სადატერატურო-ურკალურ სადამოდ.

მე ვიქმნებოდი ხეთი წლისა, რომ ჩემს თჯახს დიდი უბედურება ეწია: დედა ჩემს გაუფრთხილებლიბის გამო ადებებული სამოვრის წევადი გადაესა და ამის გამო დიდის წევადით თას დღეში გათვალისწინება. ეს უბედური შემთხვევა დაგით გიგიშვილმა გამოხატა ერთს თავის შატარა ლექსში, ადგილა ამ ლექსისა დედიჩემის საფლავის ქაზე იქმნა ამჟრილი მაშინდებლობრის, კ. ი. ამ 38 წლის წინეთ. ეს საფლავის ქა, ესლაც არას ვერის ქართველთა გაუქმებულ სასაფლაოზე.

მისს ლექსებს დიდი გაყლენა ჰქონდა: მდაბით ხალხზე და ეს საბუთანიც იყო: მისი სიმღერები, ზღაპრები თუ სხვა დარგის ნაწარმოების ჭიშვის დამრიგებელი, ზნეობრივად აღმზრდებით იგნორნ და არას. ამ ასეთი კაცი გაცი გრ-

დაცელია სიღარიბეში და უმწეოდ დარჩენა ცოდნი და ოთხი ჰატარა შეიღი. ჩემის აზრით ამათ დამარტება ესაჭიროება.

ამასთანავე გაახლებთ ხეთს მანქოს, უმორნიდესად გთხოვთ ეს ჩემი წყლილი მათ გადას ცეო.

ერთი მოქალაქეთავანი

## წერილები მეგობართან

**ქართველ მუსულმანების შესახებ**

დადი უძადურისა იქნება ჩემი მხრით, რომ კუთხიდი ზაქარია ჭიქინაძის შესახებ არაფერი გთხოვთ.

კავთ ყაჩაღის შესახებ ილია ჭავჭავაძე პრესებს: „ბავშვაც კი იცის, ვინ არის კაკა“. სწარედ ესევე შეიძლება თქვას ეფუძნი ზაქარიას შესახებ. სადაც უნდა მიხვიდე, ვისაც უნდა გამოეჭაპარა უკელვან აქეთებნ სამაჭადანთ საქართველოში გემის ზაქარია ჭიქინაძის სახელი. სშირად დადითა ამ ქვეყანაში ზაქარია ჭიქინაძე და თავისი გულითადი სიეგარულით დახარულ მოძმეთა მიმართ მათ შორის სახელი და შატრივისცემა მოისოდა: ბეჭდვადა და ავტოელებდა წიგნებს; შილადათ საუბრობდა დაშორებულ ძებეთან, შატრივით ეპერობოდა მათს სალოცავს, მათს ადათებს, მათში დარჩენილ გაღმოცემებს და ლექსებს, აძლევდა რჩება დარიგებას, მოქმედებდა წესიერი სასით და ამის მეოხებით მოიპოვა ჩექნ მოძმეთა სიუფარული.

— „გი ეფუძნი ზაქარიაშ რომ წიგნები დაბივირიგა, იქანა სწერია. დიდებული ეოთია თამარ მეფე“.

ბეტმების შეგნებული ქართველი მუსულმანი და მოგიუგება შენ მიერ ცნობილ ამბებს თამარ მეფის შესახებ.

დადი დგაწილი მიუძღის მართლაც ეფუძნი ზაქარიას ქართველ მუსულმანების და საქართველოს წინაშე. იმის შესახებ იტევან „მეცნიერული ნასკვები არ აქვთ მის ნაწერებს“...

ეფუძნი ზაქარიას არ ჟერნია მიზნად სამეცნიერო მუშაობა. მისი საგანი იყო კეთილ ხინდი-სიერათ შემართვებია სხვა და სხვა მასალა: ნა-

ხული და გაგონილი და უფეხლებელი ეს კალმის საშეალებათ ქადაღისთვის გადაეცა. დაე, სხვამ, უფრო მასზე მეცნიერმა, ისარგებლოს ამ მასალით... განაგდოს მისი ნაწერებიდამ ის ნაკლინი, რომელიც მათ აქვსო.. უნაკლულ არა არის რა ქამარი.

მიღენად გატაცებული იყო ეფუძნი ზაქარია აქეთ მოგზაურობით, რომ არ ერთდებოდა არც დადლას, არც სწერებას, არც გაჭირვებას, არც სიკედლას. ერთხელ 1894 წ. ზაქარია ბათომიდიმ თბილის დასწერებული მოდიოდა ..

ერწასული, დამპალ ცავებით შეშერცბი და ძლივს დადიოდა; სახეები ადარ იყო... შემთხვევით ერთმა მისმა მეგობარმა, რომელმაც მას სთხოვა გრძელი დახსნა, სადილი გაუმართა: არი ბოთლი დგინდ და თეთრი ცნობილი დგინდ ტენისა (სოვ. გროს ასლოს) დაალევინა. ერთი კერძი შილშილ დაურილ მწვადისა შესჭიმა, დაძინა, თბილად დახერა მას, თფლი ბლობად მოუვიდა. გამრთელდა კაცი... გასარებული თბილის გაემგზავრა... დგთით დღესაც ცოცხალია ჩენი ეფუძნი!

ჩენში საწუხსაროდ, ჭერ კადებ თავადაზნაურული შეხედულებაა მოღვაწეებზე: თითქოს არ გაფასებთ იმ შირთა დვაწლს, რომელიც არ ეყენებან თავადაზნაურულ წილებას ან დადი სარისხის შატრონები არ არიან! მშრომელ სალეს შრომის შეიღს, მდაბალ წილების მოღვაწეს თითქოს არაფრთ გაგდებთ. სადამდის!

შენი ერთგული ჩაქუჩი.

## ფშაური ლექსი

მოგწყინდა თამარ ქალაო,

იკვლავ-კორანა ტიალი,

გაღახველ კევლიან შია,

შენს ქაბას გააქვს შრიალი,

წაწლის ნაჩუქარ ფულებსა,

ჯიბეში გააქვს ჩხრიალი,

შენგბ დაქსოვილ წინდებსა

რამთვენგანა აქვს ჯვრიანი.

გვლ. გვლოვანი

## ხალხური სიბრძნე

გურიაში შეკრებილი ანდაზები

(გაგრძელება. იხ. „ო. და ც.“ № 31.)

ჩუმ-ჩუმათობა ოჯახის დამწევიაო.

ბელაურები დაწყდაო, ვირს მაიდანი დარჩაო.

მკუჭე მსალი ღორსო, მკუხე მოლაზონსო.

აჩელიას ყანა შქონდა, ბაჩელიას—ნალიეო.

კი ხარ გორიო, კი გძევს თოლიო!

ასმა კაცმა ისი კაცი იტიაო.

მტკერი იყარე დიდი გორისო.

ფრთხილთა დედანი არა სტიროლენო.

ჰვეყანა იქცეოდაო, ტურას ქორწილი ჰქონდაო.

შვილმა გული გეიარა შვილიშვილმა—გულის გული.

ფონი გასავალს დალოცეო.

ბურთი მოძალისააო.

ზღვას ეძილებოდა ცვარმა დაარჩოო.

შეძახებულიო, —წყალ-წალებულიო.

ერთი შერჩა მელასაო, კიდო ელის კენასაო.

მაშენებელი წაწყდესო.

გიორგი ლომთათაძე



დ. ბორჯომში 27 მეტათვეს მუვე წყლის სათეატრო შენობაში ჩვენმა ნიკიერმა მსახ ღმ-ქალმან. ჯავახიშვილისამ გამართა წარმოდგენა. წარმოდგინეს ა. ცაგარლის პ მოქმ. კომ. „ხანუმა“. მონაწილეობდენ: ქ. ქ. ნ. ჯავახიშვილი, თ. ტეატრიშვილის და იონესიანისა; ბ. ბ. ი. შიგიძე, პ. ხუციშვილი, დ. ძეგლაძე, ი. ბეჭირაშვილი.

ქ-მა ჯავახიშვილმა ხანუმას როლი ზედ მეწევნით განასახიერა. ისეთი ტემპერამენტი, ისეთი სიცოცხლე შეტანა პიტის მთლიანობაში, რომ ვისაც განსვენებული ნატო გაბუნია და ელ. ჩერქეზიშვილი უნახავს ამ როლში, ქ. ჯავახიშვილს აუცილებლად მესამე ად-

გილს მიაკუთხნებდა ხანუმას შემსრულებელთა სიაში. მეტად კარგად და ცოცხლ-დ ჩატარა მსახიობმა უფიცისმებ რომ როლი: მსახური ტიმოთე და ტერექა ანთ აკოფა. უფიცისმებ იმდენი ენერგია გამოიჩინა დ. ბორჯომში ხანმოკლე ყოფნის ღროს, იმდენი ცხოველმყოფელი სხივები შეიტანა აქაურ სათეატრო საქმიანობაში, რომ სამართლიანად დაიმსახურა ადგილობრივი საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა, რაც მტკიცდება იმით, რომ ყველა ქართულ წარმოდგენებს ხალხი ბლოკირად და ხალისიანად ესწრება.

კარგი ქაბატუა იყო ქ. თ. აფხაზიშვილისა, რომელმაც სარას როლიც შეასრულა შესაფერი დაკვირვებით. მოისუსტებდა თ-დ ვანო ფანტიაშვილის როლში პ. ხუციშვილი; მოადგნილად და ცოცხლად ჩატარა როლი დ. ძეგლაძემ; უსიცოცხლიდ დაგვიტურათა სანას როლი ქ. იოანისიანცისმ, რაიც მიეწერებოდა როლის უკადინარობას. კარგი მიკი ტყუილ-კოტრიანცი იქნებოდა ივ. ბეჭირაშვილი, რომ როლი სკოლნოდა. საერთოდ, როგორც ეს ჩეველებათ აქვთ გადაქცეული პროგრინციის ყველა სცენის მოყვარეთ, ბორჯომელი სცენის მოყვარენიც მეტად განხე გაუტბიან როლების შესწავლას და აი, ეს მოვლე ა ხდება ხოლმე მიზანად პიესების მწყობრი ანსამბლისა და შინაარსის დარღვევისა.

აფიშაში, გარდა ხანუმასი, გამოცხადებული იყო ქ. ყიფიანის კომ. „დატრიალდა ჯარა“, რომელიც საპარი მიზეზთა გამო ვერ დაიდგა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაშალა. დასასრულ არ შეიძლება ბორჯომის სათეატრო ცხოვრების ორ გარემოებას არ შევეხო თრიოდე სიტყვია: პირველი-ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შორის განალებული ინტრიგა და მეორე—ის, რომ ყველა აქტის დასრულების შემდეგ, აპლოდისმენტის მაგიერ, დაუსრულებელი და გულშემზარავი სტეფანი გასმის ხოლმე დარბაზში და როგორც შეგებულ მსმენელზე, აგრეც იყიდ მსახიობზედაც მეტად მძიმე და სამწუხარო შთაბეჭიდილებას სტოვებს.

**ნიკო გურული**

დ. ლაგოდეხში შაბათს 23/VII მოაღალისე ჯარის-კაცთაგან შემდგარმა სცენის მოყვარეთა წრემ ყაზარმაში მოთავსებულ სცენაზე წარმოადგინა „სკაპენის ცულლუტიაბა“ და „მათიკა“ (მესამე მოქ.), დაბასრულ გაიმართა დივერტისმენტი (წარიგოთხეს საკუთარი ლექსები ს. აბულაძემ და შ. მოლაშვილმა, იყო სცენებიც). კომედიამ მწყობრად ჩატარა, თუმცა ტანისამოსის შეუფერებლობა შესამჩნევი იყო. „მათიკა“-კი სუსტი იყო. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, მომეტებულად ჯარის-კაცნი იყვნენ. აქ ყოველ კვირა იმართება წარმოდგენები ქართულ-რუსულად. დამსწრე.

სილნადის „ახალ კლუბის“ დარბაზში სცენის მოყვარეთა წრემ ნ. გვარაძის რეკისორობით და მონაწილეობით 24 მეტათვეს წარმოადგინა ბელის 4 მოქედებიანი დრამა „უმუშევარნი“. წარმოდგენა მოი-

სუსტებდა, რადგან ზოგიერთა მონაწილემ როლი ხეირიანად არ იცოდა, (რაიც ფრიად არა სასიამოვნო მოვლენაა ახალად გაფურჩქნილ სცენის მოყვარეობა მშროვ). ამ ზაფხულის სეზონში ეს მეათე წარმოდგრა და სულმუდამ ეს ნაკლი იჩენს ხოლმე თავს. ამ „დადგენილებას“ რომ გადაუხვიონ და მუხაითად მოყვიდნენ საქმეს, ძალიან კარგი იქნება. მშენივრად შეასრულა თავის როლი ბ-მა გვარაძემ (გასია). დანარჩენებიც უკეთესი იქნებოდნენ, ვიმეორებ, როლები რო უკეთ სცოდნოდათ. კიდე ერთი პატარა შენიშვნა ბ-ნ გვარაძეს: მეტი ყურადღება მიაქციოს სცენის მოწყობილობას და გრიმებს.

კ. ძია

## წ ვ რ ი ლ ი ს მ გ ე ბ ი

◆ შესახითი მ. არადელ-იშხნელი ცენიდან გაღმოვარდა: ამოვარდა ორივე ყბა, კბილები ჩასცვი-ვდა, ნიკაპი დაეჩ ჩქვა.

◆ ზურ. „თვათი ცხოვხები“ სასარგებლოდ მივიღეთ: გიორგი ანდრიას-ძი მარლაძისავან 1 გ.

◆ ცონის თვათი ზურ 11 მარიამობისთვეს გაი-მართება მსახიობ ნემოს ბენეფისი.

◆ „დაზარილი თაბა“, ერთ მოქმედებანი დრამა ს. ერთაწმინდელისა, ცალკე წიგნად გამოვიდა, შეიცავს 30 გვ. ფ. 20 კ. გამოცემა გ. საგანელისისა.

◆ ჩართველ მოღვაწეთა სააგარაკოს ადგილი შეათვალიერეს ქვიშეთს, წალვერს, ცემსა და სურამში.

◆ ზაღვირში ი. გრიშა შვილისა და ალ. იმედშვილის ასახული აით გამართულ სა-ლამოს აუარებელი სახ. დაესწრო,

### ცორილი ცხოვდება

პირველი ზარმოღენი შვილეთი და-დგა 50 წლის წინად დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვა-ნელობით და მოკარნახეობით. წარმოადგინეს გ. ერის-თავის „გაყრა“. მონაწილეობდენ: ქ-ნი ამირჯაბის სული ციმაკურისისა და ერთიც სხვა ქალი; ბ-ნი ლევ. აბაშიძე, მიხ. ციმაკურიძე, ზახა ყიფიანი. სცენის სუსტება სულის ჩამდგმელი დ. ი. ყიფიანი იყო: ჰეკრებდა, ამზადებდა, უმარტავდა, როგორ განესაზიე-ებინათ ესა თუ ის ხატება და სხ.

### ზორილი არავაციის მიზართ

მ. ხ. ქ-ნი რ-რო! ჩვენ ხვარბეთის საზოგადოების კონკრეტიკის წევრი, უგულითადეს მაღლობას ეძღვნით ბ-ონ მ. სიორიძეს, რომელმაც გარდაცვალე-ული ი. ტულუშის საპატივაცემოთ ერთის წლით გა-ოფერერა უკრ „თეატრი და ცხოვრება“ და „სახალ-ია ფურცელი“. ვუსურებო სხვებსაც მიექციოთ ყურა-დება დაობლებული სიფლისათვის და დახმარება გა-წიოთ მის წინსელისათვის.

ამხანაგების მონდობილობით ბ. ხვარბეთელი.

## ქ ე ს ლ ი ც ლ უ ბ ი 1 პ ი რ ი ს პ ი რ ი

ო რ შ ა ბ ა თ ი — რ უ ს უ ლ ი ა პ ე რ ე ტ ა  
ს ა მ შ ა ბ ა თ ი — ს ი მ ფ . კ ო ნ ც . რ ა ს ტ რ ი ა ფ ლ ი ხ ი -  
ო რ თ ხ ა . ს ი მ ფ . კ ო ნ . რ ა ს ტ რ ი ა ფ ლ ი ხ ი ს ა ბ ე ნ ე ფ  
ხ უ თ შ ა ბ . — ქ ა რ თ . წ ა რ მ . (უ ფ ა ს ) ; ს ა ზ ა ნ დ ა რ ი  
პ ა რ ი ს პ .

შ ა ბ . — ს ი მ ფ . კ ო ნ . ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს მ ო ნ ა წ ი .

პ ი რ ი ა — ს ა ბ ა უ შ მ ი ს ა ლ ა მ ო , მ უ ს . ს ი ნ ე მ ა ტ .

რ ა ს ა ზ ი ს ი ს : კ ო ნ ც ე რ ტ ე ბ ი ს ა ლ ა მ . 9 ს ა პ ა .

წ ა რ მ ი დ ე ნ ე ბ ი ს ა დ ა ს ი ნ ე მ ა ტ ი ა ფ რ . ს ა ღ . 8 ½ ს ა  
ც ა მ ს ა ს ი ლ ე ბ ლ ი ფ ა ს ი ჩ ე ვ უ ლ ე ბ რ ი ვ ი ა , მ ხ ლ ი .  
ს ა მ შ ა ბ ა თ ს ა დ ა შ ა ბ ა თ ს ი ს დ ი ა ნ : მ ა ნ დ ი ლ ი ს ნ ე ბ ი დ ა  
ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი (ფ ა რ მ .) 6 5 კ . მ ა მ ა კ ა ც ე ბ ი 1 . 0 5 კ .

## ხ ე რ ც უ ხ ე ბ ი ს ა ზ ა ნ დ ა რ ი ც ლ უ ბ ი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ე რ თ ი კ ვ ი რ ი ს პ რ ი ა მ ა მ 7 — 14 ა გ ვ ი ს ტ ო

პ ი რ ი ა — კ ო ნ ც ე რ ტ ი გ ა ნ ი ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს მ ო -  
ნ ა წ ი ლ ე ბ ი თ ; ს ა ზ ა ნ დ ა რ ი .

ო რ შ ა ბ ა თ ი — ს ი ნ ე მ ა ტ ი ა ფ რ ი ა ფ ი ; ს ა მ ხ . მ უ ს ი კ ა .

ს ა მ შ ა ბ ა თ ი — კ ო ნ ც ე რ ტ ი - კ ბ ა რ ე : ს ი მ ე ბ ი ა ნ ე . ს ა ღ .

ო რ თ ხ ა ბ ა თ ი — ქ ა რ თ უ ლ ი წ ა რ მ . ც ე ბ ი ; ბ ა ლ -  
ი შ ს ა მ ხ ე დ რ ი — მ უ ს ი .

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი — ს ი ნ ე მ ა ტ ი ა ფ რ ი ; ს ა მ ხ ე დ რ ი .

კ ა რ ა ს ა მ ე ბ ი - ს ი ნ ე მ ა ტ ი ა ფ რ ი ; ს ა მ ხ ე დ რ ი მ უ ს ი კ ა .

შ ა ბ ა თ ი — ს ა ლ ა მ ო — მ ე ჯ ლ ი ს ი ; ს ი მ ე ბ ი ა ნ ი ო რ -  
კ ე ს ტ რ ი ,

კ ვ ი რ ი —

წ ა რ მ ი დ ე ნ ა - კ ო ნ ც ე რ ტ ე ბ ზ ე ს ც ლ ა უ ფ ა ს თ ა



ქ ე ს ტ რ ი - გ ა მ ა ც ე ბ ზ ე ბ ი ა ნ ა ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს ა

დ ა ვ ი ლ ი ს ი ს ა ზ ა ნ დ ა რ ი ც ლ უ ბ ი